საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2384 2021 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

1. „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში შერჩეული პროგრამების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის №1819 განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა“.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს დაევალოს, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მისცეს უფლება ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს,

საქართველოს მოქმედ კომერციულ ბანკ(ებ)ში გახსნას საბანკო ანგარიშ(ებ)ი ბენეფიციარების დაფინანსებისთვის განკუთვნილი თანხის განსათავსებელად.

3. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში შერჩეული პროგრამების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის №1819 განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხები მიმართოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს საკუთარი სახსრების სახაზინო ანგარიშზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2021 წლის 27 დეკემბრის
№ 2384 განკარგულებით

ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა) განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროგრამის ფარგლებში სააგენტო განახორციელებს, როგორც ახალი საწარმოების შექმნის მიზნით, ასევე არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით, პოტენციური ბენეფიციარებისთვის დაფინანსების გაცემას.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ოთხ საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

მუხლი 3. პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანებს წარმოადგენს:

ა) ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მიზნობრივ რეგიონებში პროექტების დაფინანსების გზით;

ბ) მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ა) **პოტენციური ბენეფიციარი** – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე/იურიდიული პირი, რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს როგორც გადამამუშავებელი ან/და სამრეწველო, ასევე შემნახველი ან/და სამაცივრო მეურნეობების მიმართულება, რომელთანაც პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია, გაფორმდეს დაფინანსების შეთანხმება;

ბ) **პროგრამის ბენეფიციარი** – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე/იურიდიული პირი, რომელთანაც პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია დაფინანსების შეთანხმება;

გ) **კომერციული ბანკი** – პროექტში მონაწილე საქართველოში რეგისტრირებული ლიცენზირებული კომერციული ბანკები, რომლებიც ჩაერთვებიან პროექტის განხორციელებაში;

დ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და კომერციულ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ე) **თანადაფინანსების შეთანხმება** – სააგენტოს, კომერციულ ბანკსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული დაფინანსების შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ვ) **დაფინანსება** – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროექტის ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი სახსრები;

ზ) **პროექტი** – სააგენტოს პარტნიორი კომერციული ბანკის მიერ წარდგენილი პოტენციური ბენეფიციარის სესხის დამტკიცების განაცხადით გათვალისწინებული ბიზნესსაქმიანობა, რომლის დაფინანსებისთვისაც გაიცემა ფულადი სახსრები, პროგრამის პირობების შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ოთხი საპილოტე რეგიონი: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

მუხლი 6. პროგრამის მიზნობრიობები და შეზღუდვები

1. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ახალი საწარმოების შექმნას, ასევე არსებული საწარმოების მოდერნიზებას ან/და გაფართოებას, რომელიც მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების დაფინანსებას, მათ შორის: მანქანა-დანადგარების, წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობისა და სპეციალიზებული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებას;

ბ) საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას – მხოლოდ ნედლეულის შეძენის, არა უმეტეს პროექტის ჯამური ღირებულების (სესხის თანხის) 20%-ის ოდენობით დაფინანსებას.

2. პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი ბიზნესმიმართულებები:

ა) სათამაშო ბიზნესი (აზარტული თამაშები);

ბ) ვაჭრობა;

გ) საფინანსო მომსახურება (მათ შორის, სალომბარდო);

დ) ექსტრემალური სპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება;

ე) სატრანსპორტო მომსახურება;

ვ) სამშენებლო (დეველოპერული) საქმიანობა;

ზ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება;

თ) სამხედრო, ბირთვული, თამბაქოსა და სახიფათო ნივთიერებების წარმოება;

ი) საქველმოქმედო საქმიანობა;

კ) კვების ობიექტები;

ლ) სასტუმრო (მათ შორის, საოჯახო ტიპის სასტუმრო);

მ) უძრავი ქონების შეძენა;

ნ) წილის/აქციების/პაის შეძენა;

ო) რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობები.

3. დაუშვებელია, სააგენტოს დაფინანსების თანხით დაფინანსდეს:

ა) ნებისმიერი ვალდებულების გადაფარვა;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენა, გარდა წარმოებისთვის საჭირო სპეციალიზებული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებისა;

გ) მიმდინარე ხარჯები (მათ შორის, ტრანსპორტირება, ხელფასები, დაზღვევისა და კომუნალური გადასახადები).

მუხლი 7. დაფინანსების გაცემის პირობები

1. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 80%-ისა უნდა მოიცავდეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შექმნას/შესყიდვას.

2. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური ღირებულება (კომერციული ბანკის მიერ გასაცემი სესხის თანხა) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300 000 ლარს და არა უმეტეს 1 000 000 ლარს.

3. სააგენტოს დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება წარდგენილი პროექტის (კომერციული ბანკის მიერ გასაცემი სესხის თანხის) ჯამური ღირებულების არა უმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 600 000 ლარისა, ამასთან, პროექტის ჯამური ღირებულების (კომერციული ბანკის მიერ

გასაცემი სესხის თანხის) არა უმეტეს 30%-ისა უნდა მოხმარდეს სესხის 24 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულ დაფინანსებას, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 26 თვის განმავლობაში.

4. სააგენტო მოახდენს ბენეფიციარის დაფინანსების თანხის განთავსებას სესხის გამცემ კომერციულ ბანკებში ამ მიზნისთვის გახსნილ სააგენტოს სპეციალურ ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდება როგორც სესხის პროცენტის დაფინანსება, დადგენილი გადახდის გრაფიკისა და პროგრამის პირობების შესაბამისად, ასევე დაფინანსება სესხის მთლიანი მოცულობის არა უმეტეს 30%-ის ოდენობით, მას შემდეგ რაც ბენეფიციარი მოახდენს სესხის თანხის მიზნობრივად ხარჯვისა და მასთან გაფორმებული დაფინანსების შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დადასტურებას, პროგრამის პირობების შესაბამისად, რომლის განკარგვაც ბენეფიციარს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ.

5. დაუშვებელია, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხი მოხმარდეს ბენეფიციარის სხვა სესხების რეფინანსირებას/ რესტრუქტურიზაციას.

6. დაუშვებელია, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხებზე გავრცელდეს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების დაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულების პირობები, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების პირობები ან/და „საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №153 დადგენილებით გათვალისწინებული საკრედიტო საგარანტიო სქემა.

7. დაუშვებელია, ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე გაიცეს პროგრამის ჯამური ბიუჯეტის 25%-ზე მეტი რეგიონულ ჭრილში.

მუხლი 8. პოტენციური ბენეფიციარის შესაბამისობის კრიტერიუმები

1. პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება ან/და სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან იჯარით მიღებული უნდა ჰქონდეს უძრავი ქონება (იჯარის დარჩენილი პერიოდი პროგრამაში განაცხადის წარდგენისას უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს), რომელზეც განხორციელდება სესხის თანხის ინვესტირება.

2. კომერციული ბანკის მიერ სესხის გაცემა დასაშვებია როგორც ფიქსირებულ, ასევე ცვლად (მცურავ) საპროცენტო განაკვეთში, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული არა უმეტეს 5% სესხის დამტკიცების თარიღში.

3. ბენეფიციარისთვის განკუთვნილი მთლიანი დაფინანსების თანხიდან განხორციელდება არა უმეტეს პროექტის ფარგლებში აღებული სესხის პირველი 24 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსება, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 26 თვის განმავლობაში.

4. პოტენციური ბენეფიციარის მიერ პროექტის განხორციელება დაგეგმილი უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებულ რეგიონში, სადაც რეგისტრირებულია და ოპერირებს.

5. ბენეფიციარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: იურიდიული პირის შემთხვევაში – გასული კალენდარული წლის განმავლობაში ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 000 ლარს, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – გასული კალენდარული წლის განმავლობაში ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

მუხლი 9. განაცხადის მიღების, დაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის პროცედურა

1. პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარების სასესხო განაცხადების მიღება განხორციელდება სააგენტოს პარტნიორ კომერციულ ბანკებში.

2. პოტენციური ბენეფიციარების დაფინანსების განაცხადების განხილვა სააგენტოს მიერ განხორციელდება წარდგენილი განაცხადების რიგითობის შესაბამისად.

3. პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადისა და დოკუმენტების წარდგენის, დაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო.

მუხლი 10. პროგრამის მონიტორინგი

1. ბენეფიციარის მიერ პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრიობისა და მასთან გაფორმებული დაფინანსების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა დასტურდებოდეს საექსპერტო დასკვნით ან/და აუდიტორული დასკვნით.

2. კომერციულმა ბანკმა დაფინანსების თანხის მიზნობრივად და პროგრამის პირობების შესაბამისად გამოყენების დასადასტურებლად სააგენტოს უნდა წარუდგინოს საექსპერტო დასკვნა ან/და აუდიტორული დასკვნა, კომერციულ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 11. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის ბიუჯეტი განაწილდება შემდეგი პროპორციით:

იმერეთი – 43,76%;

კახეთი – 35,63%;

გურია – 14,03%;

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 6,58%.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცენტული გადანაწილების გათვალისწინებით, ნაშთის არსებობის შემთხვევაში, ნაშთის თანხა, მოთხოვნისამებრ, შესაძლებელია, მიმართულ იქნეს შესაბამის რეგიონში.